



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №90

2014 წლის 14 ნოემბერი

ქ.დუშეთი

ა(ა)იპ „დუშეთის სასპორტო გაერთიანებისათვის“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფასანაურის სპორტული დარბაზის უსასყიდლო თხოვების ფორმით გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ამავე კანონის 122-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფასანაურის სპორტული დარბაზის, (ს/კ 71.53.05.072) საბალანსო ღირებულება-78039,84 (სამოცდათვრამეტი ათას ოცდაცხრამეტი და ოთხმოცდაოთხი) ლარი, ნარჩენი ღირებულება 75230,4 (სამოცდათხუთმეტი ათას ორას ოცდაათი და ორმოცი) ლარი, უსასყიდლოდ სარგებლობაში, თხოვების ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „დუშეთის სასპორტო გაერთიანებას“.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი